

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 14 აპრილის
სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: დისტანციური სხდომა (Webex პლატფორმის გამოყენებით)

სხდომის დაწყების დრო: 18:00

დისტანციურ რეჟიმში სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ციციწო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე, დათუნა მოდებაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ანანო კუჭავას, გიორგი კიკილაშვილს, გიორგი ტურძელაძის, გიორგი ჩალიგავას, ელენე მაღლაკელიძეს, თამარ კრაწაშვილს, თამილა გაბაიძეს, თინიკო კვინიკაძეს, ლიკა გოცირიძეს, ელმინ ისმაილოვს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია; შესაბამისად, აღნიშნული პირების განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ანანო კუჭავას, გიორგი კიკილაშვილის, გიორგი ტურძელაძის, გიორგი ჩალიგავას, ელენე მაღლაკელიძის, თამარ კრაწაშვილის, თამილა გაბაიძის, თინიკო კვინიკაძის, ლიკა

გოცირიძის, ელმინ ისმაილოვის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწვევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა: არჩილ მშვენიერაძე; მარიამ ბიჭიაშვილი, ელიზა ქერდიყოშვილი; საწევრო დავალიანების მქონე წევრი: ვლადიმერ გოგოლაძე.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებებს: **არჩილ მშვენიერაძე; მარიამ ბიჭიაშვილი, ელიზა ქერდიყოშვილი; 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრის განცხადებას წევრობის შეჩერების შესახებ: ვლადიმერ გოგოლაძე;** აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ განმცხადებელ წევრებს, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა, წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის, პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 21² მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუკმაყოფილდეს ზემოაღნიშნულ პირთა განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან,

2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირს - ვლადიმერ გოგოლაძეს ეცნობოს ინფორმაცია მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 3. ნინო ლობჯანიძის და თამარ ხომასურიძის ერთობლივი განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ნინო ლობჯანიძის და თამარ ხომასურიძის 2020 წლის 8 აპრილის განცხადებას, რომლითაც ითხოვდნენ წერილობით განმარტებას, წარმოადგენდა თუ არა ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების გავლის ნაწილი საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას და მოდიოდა თუ არა იგი წინააღმდეგობაში საჯარო მოხელის სტატუსთან. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ განმცხადებლები იყვნენ ასოციაციის ადაპტაციის პროგრამის მონაწილეები და ამავდროულად - საჯარო მოხელეები.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 9 თვიანი პრაქტიკული კურსი არ შეიძლება ჩაითვალოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებად, რადგან, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ ადვოკატი არის პირი, რომელიც გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში; ამავე კანონის მე-16 მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად კი - ადვოკატის სტაჟირი არის პირი, რომელიც ამავე კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით სტაჟირებას გადის ადვოკატთან.

აქედან გამომდინარე, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 9 თვიანი პრაქტიკული კურსი არ წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას და შესაბამისად, არ არის წინააღმდეგობაში საჯარო მოხელის სტატუსთან.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტით საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი შეზღუდვა ვრცელდება მხოლოდ ადვოკატებზე, რომლის თანახმად: „ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი ან სხვა პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ნინო ლობჯანიძეს და თამარ ხომასურიძეს, წერილობით განემარტოთ განცხადებაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წევრების მიერ სხდომაზე დაფიქსირებული პოზიცია.

საკითხი 4. ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის - ირაკლი გაფრინდაშვილის კანდიდატურას თანდართული ბიოგრაფიით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი აკმაყოფილებს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-10 მუხლის, 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატად ირაკლი გაფრინდაშვილის კანდიდატურა.

საკითხი 5. 2020 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღების დამტკიცება.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია 2020 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღებად 2020 წლის 4,5,11,12,18 და 19 ივლისის დამტკიცების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2020 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღებად დამტკიცდეს 2020 წლის 4,5,11,12,18 და 19 ივლისი.

საკითხი 6. 2020 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების გასაჩივრების თარიღის დამტკიცება.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია 2020 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების გასაჩივრების თარიღად 2020 წლის 25 ივლისის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2020 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების გასაჩივრების თარიღად დამტკიცდეს 2020 წლის 25 ივლისი.

საკითხი 7. 2020 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ადგილის დამტკიცება.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება, 2020 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებისთვის აღნიშნული უნივერსიტეტის საგამოცდო დარბაზის გამოყენების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2020 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (მისამართი: თბილისი, წინანდლის ქ.#9).

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე